

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ. თელავი

16.04.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ა. შათირიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. მახარიაშვილი; ზ. ნაცარაშვილი; გ. მამუკელაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - მ. ჩაფურიშვილი; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნ. ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნ. ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი - ნ. ბაჩიაშვილი

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.


აზრი გამოთქვას: დ. გოგოშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - ნ. ვაყელიშვილს.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა ითვალისწინებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად თანხების მობილიზებას, აგრეთვე 2019 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთის ნაწილის ასახვას, რომელიც მიმართულია თელავის

მუნიციპალიტეტსა და სამხრეთ კავკასიის GIZ-ს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის დაფინანსებისათვის, ა(ა)იპ კახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია - „ვიზით კახეთი“-ს მუნიციპალიტეტის მხრიდან შენატანისათვის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის, ნიკოლოზ ვარდოშვილისათვის, მიუღებელი ხელფასის და ადვოკატის ხარჯის ანაზღაურებას.

გადაწყვეტეს: წარმოდგენილი ცვლილება მოწონებულ იქნა კომისიის წევრების მიერ.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი